

საპრივატიზებო ობიექტის გაყიდვის პირობები

(ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩა N9-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 3773.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N33.09.39.331, ყოფილი სახანძრო))

ა) მყიდველი ვალდებულია უძრავი ქონების შესყიდვიდან არაუმეტეს 3 თვის განმავლობაში მიმართოს განცხადებით თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას ახალი შენობა-ნაგებობის მშენებლობის ან/და არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის ნებართვის გაცემის თაობაზე და აღნიშნულ განცხადებას თან დაურთოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი.

ბ) მყიდველი ვალდებულია ახალი შენობა-ნაგებობის მშენებლობის ან/და არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის დასრულების შემდეგ მასში განათავსოს; სასტუმრო ან/და სპორტული კომპლექსი ან/და კვების ობიექტი ან/და სავაჭრო ან /და საწარმოო ობიექტი ან/და ავტო - ტექნომსახურების ობიექტი ან/და საოფისე ან/და კომერციული და სასაწყობე ფართები. მყიდველი ვალდებულია აღნიშნული განახორციელოს უძრავი ქონების შესყიდვიდან 24 თვის ვადაში.

გ) მყიდველი ვალდებულია უძრავი ქონების შესყიდვიდან არაუმეტეს 24 თვის ვადაში ობიექტის მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის განახორციელოს არანაკლებ 100 000.00 (ასიათასი) ლარის ინვესტიცია.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე

